**საქართველოს მთავრობის**

**განკარგულება №2341**

**2020 წლის 1 დეკემბერი**

**ქ. თბილისი**

**„კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული დანართის („კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის“):

**ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ამ წესის პირველი პუნქტის „გ.ა“ – „გ.გ“, „ლ“ და „ო.ა“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირები ტესტირებას ექვემდებარებიან გეგმურად, 7 დღეში ერთხელ, გარდა მე-4 და $4^1$ პუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.“;

**ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. ამ წესის პირველი პუნქტის „ო.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები, გეგმური ტესტირების შუალედში, ექვემდებარებიან ანტიგენის (SARS-CoV-2 Ag) სწრაფი მეთოდით ტესტირებას, ყოველ 72 საათში ერთხელ.“.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი გახარია**